საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 51
(11 712)

8 - 10 ივლისი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში

„დადგა დრო, ყოველ სამ თვეში ერთხელ მაინც, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში იქნება თუ სპორტის დეპარტამენტში, აუცილებლად განვიხილავდეთ ათენში მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საკითხებს. ახლა ეს არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანა, ათვლა იწყება ამ სხდომით“ – თქვა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის გახსნის შესავალ სიტყვაში.

მართალია, დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იყო, მაგრამ მთავარი განსასჯელი თემა მაინც ზაფხულის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს ეხებოდა და მსჯელობამ საკმაო დროც წაიღო. თავმჯდომარის მოადგილემ, ოლიმპიური რეზერვების მზადების კოორდინატორმა მერაბ მეტრეველმა ღრმად გააანალიზა თამაშებისთვის მზადების პროცესი ყველა დადებითი და უარყოფითი ნიუანსით. „ლელოს“ უახლოეს ნომერში დაგეგმილი აქვს საუბარი მერაბ მეტრეველთან, ამიტომ დაწვრილებით აქ აღარ შევჩერდებით ამ საკითხზე. საბჭოს ამავე სხდომაზე ოლიმპიური მზადების შტაბის ხელმძღვანელად დაამტკიცეს აწ უკვე ვეტერანი ჩოგბურთელი ლეილა მესხი.

როგორც ცნობილია, წლეულს ჩატარდა სტუდენტთა თამაშები სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ სპორტსმენთა მონაწილეობით. ჯგუფებში ადგილები ასეა განაწილებული: I ჯგუფი – 1. სპორტის აკადემია – 73 (29, 24, 20), 2. თსუ – 63 (23, 22, 18), 3. სტუ – 49 (13, 16, 20); II ჯგუფი – 1. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 27 (10, 7, 10), 2. ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტი – 5 (1,2,2), 3. თელავის უნივერსიტეტი – 4 (1, 3 ბრ); III ჯგუფში ადგილები განაწილდა ქულების დარიცხვით – 1. თბილისის სამხატვრო აკადემია – 507,5, 2. ენისა და კულტურის უნივერსიტეტი – 435,5, 3. ცხინვალის უნივერსიტეტი – 367.

სხდომამ განიხილა აგრეთვე „ქვეყნის პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის დავალებათა შესრულებისა და პარლამენტის წერილებზე რეაგირების“; „დეპარტამენტთან ახალგაზრდული სათათბირო საბჭოს შექმნის“ საკითხები. დღის წესრიგში იყო აგრეთვე „ხელბურთის ასოციაციის ანგარიში საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარების შესახებ“, მაგრამ ი. მეძმარიაშვილმა იგი დღის წესრიგიდან მოხსნა სამართლიანი საყვედურით, საკითხის მომზადებისადმი ზერელე მიდგომის გამო, რაც სხვა ფედერაციებისთვისაც გასათვალისწინებელია.

## სადაც ისწავლა თამაში, იქ გაიმარჯვა

თბილისში არაერთ ცნობილ ვაჟ ჩოგბურთელს უთამაშია გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსოფლიო კორტებზე ბრწყინავდნენ ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი ლ. მესხი) ძალისხმევით, საქართველოს დედაქალაქში კვლავ იმართება დიდი ტურნირები. ერთი მათგანი — პროფესიონალ ვაჟთა ასპარეზობა დასრულდა 6 ივლისს ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე კომპანია „ბორჯომის“ პრიზზე და მისივე ხელდასმით. ეს იყო ნამდვილი საჩოგბურთო ზეიმი, რომლის დამაგვირგვინებელი შეხვედრა ჩეხ იან მინარსა და რუსეთელ თეიმურაზ გაბაშვილს შორის მართალია, გაუსაძლის სიცხეში მიმდინარეობდა, მაინც შთამბეჭდავი გამოდგა კლასით და ოსტატობის დონით. ჯერ პაექრობა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მოსკოველმა ქართველმა საბოლოოდ მაინც შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება. გამარჯვებულს მთავარ პრიზთან ერთად გადაეცა 1950 აშშ დოლარი ფულადი ჯილდო.

**დღეს** იმავე კორტებზე სტარტს აიღებს ვაჟთა მეორე ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი ისევ 15 ათასი აშშ დოლარია.



თეიმურაზ გაბაშვილი

**ცოტა რამ თეიმურაზ გაბაშვილზე.** დაიბადა თბილისში. 7 წლისა აქ ეზიარა ჩოგბურთის ანბანს მწვრთნელ გ. სანთელაძის ხელმძღვანელობით. დედა თბილისელი რუსი ჰყავს. თემური გამართულად ლაპარაკობს ქართულად. ხშირად ჩამოდის მშობლიურ თბილისში. ახლა 24 წლისაა. ოსტატობას იმაღლებს ესპანეთში სანჩეს კასალეს სახელობის საჩოგბურთო აკადემიაში ქ. ბარსელონაში.



ირაკლი მეძმარიაშვილი აჯილდოებს ჩეხ იან მინარს

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

## საფეხბურთო კლუბების საყურადღებოდ!

### ვის სურს ჰყავდეს მაღალი კლასის, ევროპული დონის გუნდი?



ჩვენ დაგეხმარებით და წარმოგიდგენთ მსოფლიოში ცნობილ არგენტინელ მწვრთნელს. ვისენტე კაიეტანო როდრიგესს, რომელიც მუშაობდა სესარ ლუის მენოტთან ერთად მწვრთნელად არგენტინის ნაკრებში.

ცნობებისათვის დაგვიკავშირდით 8 99 23 55 20 თბილისი, ლერმონტოვის 8.

## ჭაბუკ ფეხბურთელთა სტაჟირება არგენტინაში!

არგენტინის ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრი (ხელმძღვანელი და მთავარი მწვრთნელი დიდი სესარ ლუის მენოტის სკოლაგავლილი ე.ე. დელგადო) ა/წლის 1 აგვისტოდან არგენტინაში იწვევს 15 დან - 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს, ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური დონის ასამაღლებლად არგენტინის ცნობილ საფეხბურთო კლუბში – 1 წლით.

ცენტრში კვება, ბინა, სამედიცინო, სატრანსპორტო მომსახურება და მომზადება –ფასიანია.

ცნობებისათვის დაგვიკავშირდით: 8 99 23 55 20 თბილისი, ლერმონტოვის 8.



## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე — ევერესტზე ურთულესი მარშრუტით მეორედ ასვლისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, საერთაშორისო სარბიელზე ქართული ალპინისტური სკოლის წარმოჩენისა და სასაზღვრო ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ფიზიკურ მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცალკეული მოტოსამანევრო ჯგუფის საბრძოლო მომზადების ქვეგანყოფილების სამთომომზადების ინსტრუქტორი, „თოვლის ჯიქის“ ტიტულის მფლობელი **ბიძინა გუჯაბიძე** დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### რიო-დე-ჟანეირო 2012 წლის ოლიმპიადის ერთ-ერთი კანდიდატია

ბრაზილიამ წამოაყენა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატი ქალაქი — რიო-დე-ჟანეირო. სხვათა შორის, ეს ქალაქი 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მისაღებადაც იბრძოდა და ბრაზილიელთა მაშინდელი ცდა, ჩაეტარებინათ ისტორიაში პირველი ზაფხულის ოლიმპიადა სამხრეთ ამერიკაში, წარუმატებელი გამოდგა. შეგახსენებთ, რომ რიო-დე-ჟანეიროს გარდა, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატები არიან ნიუ-იორკი, ლონდონი, ლეიპციგი, ჰავანა, მადრიდი, მოსკოვი, პარიზი და სტამბული.

### ფოეს სიკვდილის მიზეზი დადგინდა

ლიონის კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კამერუნის ნაკრების ნახევარმცველის მარკ ვივიენ ფოეს სიკვდილის მიზეზი გულის ინფარქტი ყოფილა. მედიკოსების დასკვნით, სიკვდილის გამომწვევი სხვა მიზეზები გამორიცხულია.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის ფოე 26 ივნისს, კონფედერაციის თასის გათამაშების მატჩის შემდეგ გარდაიცვალა. 72-ე წუთზე, მოულოდნელად, გულწასული მოედანზე წაიქცა. ლიონის საავადმყოფოში მიყვანის დროსაც ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, ექიმების 45-წუთიანმა ბრძოლამ შედეგი ვერ გამოიღო.

## საიმედო ცვლა მოდის მხატვრულ ტანვარჯიშში

ჩვენი მხატვრული ტანვარჯიში, ისეთი პირი უჩანს, მალე დაიბრუნებს საამაყო ტრადიციებს. ამის გარანტი უპირველესად მწვრთნელთა თავდადებული გარჯა და ახალგაზრდა თაობის ნიჭიერებაა. ფედერაციის მესვეურები და ნაკრების მწვრთნელები ელისო ბედოშვილის ხელმძღვანელობით იმედის თვალით შეჰყურებენ ჩვენი გოგონების გამოსვლებს შინ თუ გარეთ და გულმოდგინედ სწავლობენ ყოველ ხარვეზს, რაც უკვე შემდგომი წარმატებების საწინდარი ხდება. წლეულს ჩვენებს საერთაშორისო სარბიელზე ურიგოდ არ უასპარეზიათ და სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ქართველი გოგონები შეძლებენ კარსმომდგარი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებას. ამ ეტაპზე სწორედ მათი მომზადების დონის დათვალიერებასაც ისახავდა მიზნად საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც გაიმართა ამ დღეებში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში.



თათია დონაძე



ქეთი ბაკურაძე



ქეთი ხატიაშვილი

ეს იყო ასპარეზობა ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონების გამოსავლენად როგორც მრავალჭიდში ისე ცალკეული საგნებით ვარჯიშში. აშკარა უპირატესობა თავიდანვე უფროს ასაკში ხელთ იგდო ქეთი ბაკურაძემ და საბოლოოდ მრავალჭიდშიც მას დარჩა გამარჯვება — 102,41 ქ. მეორე იყო ვანდა კერესელიძე — 94,18, მესამე — თათია დონაძე, რომელიც მეორე პრიზიორს ჩამორჩა 4,9 ქულით.

უმცროს ასაკში ქეთი ხატიაშვილი (მწვრთნელი ელისო ბედოშვილი) შეუდარებელი იყო ყველა საგანში და მრავალჭიდი 91,21 ქულით მოიგო, 77,12 ქულით მეორე იყო ელენე გავარდაშვილი, მესამე ადგილი კი წილად ხვდა თამუნა მიქაძეს — 75,7 ქულა.

ცალკეული საგნებით ასპარეზობაში უფროსთა შორის რგოლებსა და გურზებში ბაკურაძე გახდა ჩემპიონი, დონაძე - ბურთსა და ბაფთით ვარჯიშში, კერესელიძე — სახტუნელათი. უმცროსთა შორის ბაფთებით ვარჯიშში ყველას აჯობა გავარდაშვილმა, გურზებში — ლიკა ჯორბენაძემ, სახტუნელათი და ბაფთით — მიქაძემ.

## ნომერში წაიკითხავთ:

- ა. დოკვაძე: ოთხი წელი ოთხ თავმჯდომარესთან
- ფეხბურთში საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატის წინ
- საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის რეგლამენტი და კალენდარი
- „ჩელსი““ თუ მსოფლიო ნაკრები?
- ქართველი უიმბლდონის ფინალში დამარცხდა
- საჭადრაკო ამოცანა. კროსვორდი

## ეს კაცი მთელ სამყაროს იყიდის..

როგორც ინგლისური „დეილი ექსპრესი“ იტყობინება, „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრები პანიკაში არიან ჩავარდნილნი მას შემდეგ, რაც გაურკვეველი წყაროთი შეიტყვეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ჩელსის“ რუსმა მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინოს. თუკი ინგლისურ საინფორმაციო სააგენტოებს ვენდობით, ამ მიზნის განსახორციელებლად, აბრამოვიჩს 500 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოუყვია, ხოლო ინგლისის უპირველესი გუნდი შეფასებულია... 360 მილიონ ფუნტად. აქვე გეტყვით, რომ აბრამოვიჩმა „ჩელსის“ აქციები 200 მილიონ ფუნტად შეიძინა.

ATHENS 2004

ზაფხულის ოლიმპიური თამაშებამდე 1 წელიწადი და 1 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 8 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

# 4 წელი 4 თავმჯდომარესთან

*ბ. კვინიხიძე შეცვალა თედო ხხორტლაძემ, რომელიც მეხამედ დაინიშნა ამ თანამდებობაზე. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ამ თანამდებობაზე იგი მოკლე ხანს დარჩა.*

*თ. ხხორტლაძე შეცვალა გიორგი სიხარულიძემ, რომელიც მუშაობდა ჯერ ტრამვაიტროლეიბუსების სამმართველოს უფროსად და კომიტეტში კი მოვიდა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.*

გიორგი ვასილის ძე სიხარულიძე კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას შეუდგა დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით. გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით.

უპირველესად მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თვალში.

ამ მიმართებით გ. სიხარულიძე მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არსებულ ფიზიკური კულტურისა და სამხედრო საქმის სექტორთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში გამოცდილი მუშაკი ივანე ბოჭორიძე.

პირველ რიგში გ. სიხარულიძე შეუდგა დიდი სპორტისათვის სათანადო სპორტული ბაზების შექმნას, მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა ჭადრაკის სასახლე, ძალოსნობის სამდარბაზიანი კორპუსი ვაკეში, ფარიკაობისა და კრივის არენებით. იქვე აშენდა ერთადერთი უდიდესი პრესტიჟული ნაგებობა — დახურული საცურაო აუზი. საბურთალოზე აშენდა ევროპაში ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ველოტრეკი, ფალავანთა სარბიელი. დიდი წვლილი მიუძღვის გ. სიხარულიძეს სპორტის სასახლის მშენებლობის დაწყება-დამთავრებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე საცურაო კომპლექსის მშენებლობა სანაპიროზე, ბაზები აშენდა პერიფერიებშიც.

ყოველივე ხელს უწყობდა რესპუბლიკაში დიდი სპორტის განვითარებას. საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებების მოპოვებას.

გ. სიხარულიძე სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსი იყო, რომ გაჰყოლოდა, დიდი მეცნიერი გახდებოდა. ამის თაობაზე რამდენჯერმე შევახსენე, მაგრამ ჩვეული იუმორით მიპასუხებდა: „შენი პროფესორობაც გვეყოფაო". მე ხან „ყველის ვაჭარს", ხან ასე მომმართავდა: მოდი ჩემთან „პროფესორ", ამ საქმეზე რას იტყვი შენო".

მე რომ დისერტაცია დავიცავი 1968 წ. კვლევითი ინსტიტუტიდან მიმიწვია კომიტეტში მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ ირაკლი ბაცელაშვილის ადგილზე, რომელიც განათლების განყოფილებაში გადაიყვანეს. კოლეგიის სხდომებს ატარებდა ძალზე საინტერესოდ, დინამიკურად და ემოციურად, ბევრის გახსენება შეიძლება, მაგრამ ერთს გავიხსენებ. როგორც ცნობილია, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს სტატუსი ორჯერ შეეცვალა, ე.ი. გაუქმდა. — ჯერ ჯანმრთელობის სამინისტროს შეუერთდა და შემდეგ შეიქმნა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი. ამან ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და 1968 წ. მის ნაცვლად მოგვევლინა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი. რესპუბლიკებშიაც ასეთივე კომიტეტები.

გ. სიხარულიძე მანამდე იყო საკავშირო საბჭოს კოლეგიის წევრი და რამდენჯერმე კოლეგიის სხდომაზე აკრიტიკებდა ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს. როდესაც შეიქმნა სახელმწიფო კომიტეტი, მოსკოვში ჩატარდა საკავშირო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები რესპუბლიკებიდან. ჩვენც გავემგზავრეთ 13 კაცის შემადგენლობით გ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით და თითოეულ ჩვენთაგანს დავეირიგა ლამაზად გაფორმებული კარდონის 12 ყუთი, რისი დანიშნულებაც ჩვენთვის ცნობილი არ იყო.

ჩავედით მოსკოვში და საკავშირო თათბირზე პრეზიდიუმში გ. სიხარულიძის გარდა ყველა რესპუბლიკის ხელმძღვანელები მიიწვიეს. ეს ძალზე გვეწყინა და გაგვიკვირდა, მაგრამ მე და სამსონაძეს გვითხრა, ეგენი მიიღებენ სულ მალე სამაგიეროსო. თათბირზე ყოველი რესპუბლიკის წარმომადგენელს ეძლეოდა გამოსვლისათვის 10 წუთი. დადგა გიორგის რიგი. დაიწყო გამოსვლა, სადაც უმეტესად აკრიტიკებდა სპორტის საკავშირო ხელმძღვანელობას, ვერ გააჩერეს, დამსწრე საზოგადოების ნაწილი და ჩვენც მხარს ვუჭერდით გაეგრძელებინა სიტყვა და 30 წუთი ილაპარაკა. ამის შემდეგ მოითხოვა პაუზას და კითხულობს მჟავანაძის დეპეშას მიძღვნილს რუსეთის ჰოკეისტებისადმი, რომლებმაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონობა. ყველა დამსწრე გაშტერდა და ამის შემდეგ გამოიძახა თითოეული ჰოკეისტი და გადასცა საჩუქრად ის ყუთები, რომლებიც ჩვენ ჩავიტანეთ ამ თათბირზე და ატყდა ტაშის გრიალი.

თავად პრეზიდიუმში არ დარჩა, დაბრუნდა და გვითხრა: მე ახლა წავედი თბილისში, ნემსი უნდა გავიკეთოო. თათბირის შეჯამებისას ძალზე არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს ჩვენი რესპუბლიკის მუშაობა, სხვადასხვა ფაქტების მოტანით. რომ დავბრუნდით მოსკოვიდან, მე შევახსენე ამის შესახებ და თქვა: ეს არ არის კარგი საქმეო. და შევატყვე, რომ შეუდგა ახალი, „მეტევის" მზადებას. მე დიდხანს აღარ მიმუშავია კომიტეტში და თავისივე ბრძანებით გადამიყვანა ინსტიტუტში უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე, სადაც დღემდე შემორჩი.

**აკაკი დოკვაძე**
**პროფესორი**

# ძალოსნობის ზეიმი რუსთავში




ქ. რუსთავში დაარსების საიუბილეო 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მრავალფეროვან ღონისძიებათა შორის, აღსანიშნავი იყო საქართველოს ძალოსანთა ტურნირი, რომელიც მიეძღვნა წარსულში ცნობილ ძალოსანს, ამჟამად დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვახტანგ ლობჟანიძეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი ვახტანგი დაიბადა ქ. ნალჩიკში, ოჯახში, სადაც აღიზარდა ექვსი ძმა სპორტის ოსტატები ძალოსნობაში, რაც თავისთავად უნიკალური შემთხვევაა სპორტის ისტორიაში. ერთი ძმათაგანი მსოფლიო რეკორდსმენია შტანგის ორი ხელით აჭიმვაში. ვახტანგ ლობჟანიძე ჩამოყალიბებული სპორტსმენი გახლდათ, როდესაც გადმოვიდა საქართველოში, დასახლდა ქ. რუსთავში და წარმატებით იცავდა რესპუბლიკის სახელს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში. შემდგომში მან ხელი მიჰყო სამწვრთნელო მუშაობას, რასაც ამჟამადაც განაგრძობს წარმატებით.

ტურნირში, რომელმაც საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა და ქალაქის 50-მდე ძალოსანი, მათ შორის რამდენიმე ნაკრები გუნდის წევრი. ტურნირმა მაღალ დონეზე ჩაიარა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქ. რუსთავის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს, ცნობილ კალათბურთელს რამაზ გოგიბერიშვილს. მან შეძლო სპორტსმენების მოზიდვა, რაც აისახა იმ მრავალფეროვან პრიზებსა და საჩუქრებში, ყველა წონით კატეგორიებში გამარჯვებულებს და პრიზიორებს რომ გადაეცათ.

ბოლოს გაგაცნობთ ტურნირის ჩემპიონებს წონითი კატეგორიების მიხედვით: 40 კგ-მდე - ვახტანგ ლობჟანიძე, რუსთავი (ვახტანგის შვილიშვილი), 48 კგ-მდე - აკოფ ბაზეიანი (თბ), 54 კგ-მდე - ზვიად სამუკაშვილი (დედ-წყარო), 59 კგ-მდე - კობა იბოლაშვილი (თბ), 64 კგ-მდე - ზაზა აბულაძე, აჭარა (ჩაქვი), 69 კგ-მდე - ზურაბ ჩხუბიანიშვილი (თბ), 77 კგ-მდე - ალექსანდრე სანოძიანი (დედ-წყარო), 85 კგ-მდე - გელა ბაზაძე (საჩხერე), 94 კგ-მდე - გიორგი ბეჟიტაშვილი (თბ), 105 კგ-მდე - ნუგზარ ხუზაურაშვილი (დუშეთი), +105 კგ-მდე - ალექსანდრე ნოზაძე (თბ).

**გურამ ფარულავა**

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში 1983-84 წელს დაბადებულთა შორის**

**50 კგ.** 1. ლევან მეტრეველი (თბილისი), 2. ვალერი რიკაძე (ხაშური), 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისი); **55 კგ.** 1. მალხაზ ქურდიანი (თბილისი), 2. რამაზ გაგნიძე (ქუთაისი), 3. ვალერი დვალიშვილი (გორი); **60 კგ:** 1. ზურა მახარაშვილი (თბილისი), 2. კობა კაკალაძე (აჭარა), 3. გიორგი ბალიაშვილი (გორი); **66 კგ:** 1. ცოტნე ბარამიძე (გორი), 2. მიხეილ ზარქუა (თბილისი), 3. ლაშა ტარუაშვილი (გორი); **74 კგ.** 1. ნიკოლოზ ტლაშაძე, 2. ახიკო ბარამიძე (გორი), 3. ალიკო პატარქალიშვილი (თბილისი); **84 კგ.** 1. ვასიკო ჩოხელი (გორი), 2. თედო მინდიაშვილი (რუსთავი), 3. ლერი ქეთიშვილი (თბილისი); **96 კგ.** 1. ბაჩანა კარანაძე (რუსთავი), 2. ზვიად სისაური (თბილისი), 3. ვახტანგ ალიბეგაშვილი (ყაზბეგი); **120 კგ.** 1. კობა კერესელიძე (ამბროლაური), 2. აკაკი საბაშვილი (ყვარელი), 3. გიორგი ლასურაშვილი (თბილისი).

მთავარი მსაჯი
**ჯუმბერ დადლიანიძე**

# ლელო – მატიანე
## 50 წლის წინათ...

**სოხუმი.** რაიონის მოსწავლეთა მეხუთე სპარტაკიადის პროგრამით ფრენბურთში, ჭაბუკთა გუნდებს შორის გუმისთის სკოლამ მოიპოვა პირველობა, გოგონებში — მუქურის 8-წლიანი სკოლის გუნდმა. კალათბურთში, როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში გამარჯვებულები გამოვიდნენ ეშერის მეორე რვაწლიანი სკოლის სპორტსმენები. 100 მ. რბენაში ბიჭებიდან უძლიერესი იყო სოფ. შრომის საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ქარდავა, 800 მ. რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში — ი. კოპალიანი (ბესლეთი). გოგონებს შორის სიგრძეზე ხტომა მოიგო ა. ცირუნიკოვამ (ეშერა).

**თელავი.** რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ქალთა და ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლების სპორტსმენებმა. 8-წლიან სკოლებში გამარჯვებული გამოვიდა სოფ. ყარაჯალისა და ლაფანყურის გუნდები.

**ზუგდიდი.** რაიონის მოსწავლეთა მეოთხე სპარტაკიადაში 4000-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა. საერთო პირველი ადგილი დაიკავა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლამ, მეორე იყო 1-ლი საშუალო სკოლა.

**თბილისი.** დედაქალაქის პირველობაში ქართულ ჭიდაობაში 50-ზე მეტი ჭაბუკი მონაწილეობდა. 15-16 წლიანებში წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: ი. ჩქარეული, ს. ლიპარტია, რ. კალატოზიშვილი, გ. ხუციშვილი, რ. მესროპოვი; 17-18 წლიანებში: გ. გოგიშვილი, ო. ფაციაშვილი, ტ. ქამხაძე, ო. მაჩაიძე, ს. ნოზაძე.

**ბათუმი.** 1953 წლის პირად-გუნდურ პირველობაში ველოსპორტში მონაწილეობდნენ: „დინამოს", „პიშჩევიკის", „ბურევესტნიკის", „ტრუდისა" და „ნეფტიანიკის" გუნდები. გუნდური პირველობა დაიკავეს „პიშჩევიკის" ველოსიპედისტებმა.

**ფოთი.** გაიმართა კომკავშირულ-პროფკავშირული კროსი, 5.000 მეტრზე რბენაში. გაიმარჯვა ბ. რუხაიამ.



1953 წლის საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში თბილისის „დინამოს" სპორტსმენთა აშკარა უპირატესობით დასრულდა. „დინამომ" მოუგო „ისკრას", ბათუმის „პიშჩევიკს", ბათუმის მეორე ნაკრებს და სოხუმის „დინამოს". მეორე ადგილზე გავიდა ბათუმის „პიშჩევიკი", მესამეზე – ბათუმის მეორე ნაკრები.

სურათზე: საქართველოს 1953 წლის ჩემპიონი წყალბურთში თბილისის „დინამო".

ფოტო მიხეილ ზარგარიანისა.

# ტკივილიანი გამოხმაურება

**გაზეთ „ლელოს" რედაქტორს**
**ბატონ თენგიზ გახჭიძეს**

დიდი გულისტკივილით წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია — „დიდი სპორტის საფუძველი ბავშვთა სპორტშია". როგორც ბევრ რეგიონში, ჩვენთანაც წარმატებით ჩატარდა მოსწავლეთა სპორტული თამაშები სპორტის 6 სახეობაში. გამოვლინდნენ გამარჯვებული სკოლები და ჩემპიონები, დიდი იმედი ჰქონდა ჩვენს მოსწავლეებს წარმატებით იასპარეზებდნენ საქართველოს მოსწავლეთა სპორტულ თამაშებში, რისთვისაც სათანადოდ ემზადებოდნენ, მაგრამ რად გინდა, როგორც თქვენ აღნიშნავთ, „განათლების სამინისტრომ დაგეგმილი თამაშები ჩააგდო"!..

ჩვენ კი ისვა დაგვრჩენია გაგაცნოთ ქალაქ ონში ჩატარებული სპორტული თამაშების შედეგები, თამაშების ჩემპიონი გახდა ქალაქ ონის სკოლა-ლიცეუმის გუნდი. მეორე ადგილი დაიკავა სორის საშუალო სკოლამ, მესამე — ღარის არასრული საშუალო სკოლის გუნდმა. სპორტული თამაშების პროგრამით ბოლო ღონისძიება ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც დაემთხვა ჩვენი სკოლის დაარსების 60 წლისთავს. მრავალი იყო საჩუქრები და პრიზები, გახარებულნი იყვნენ ბავშვები, მაგრამ... ბოლოს კი იმედგაცრუებულნი დარჩნენ.

გაგაცნობთ თავისუფალ ჭიდაობაში გამარჯვებულებს.

**26 კგ:** ლაშა ლობჯანიძე, **29 კგ:** ვახტანგ გაგნიძე, **32 კგ:** გაბრიელ გოგრიჭიანი, **35 კგ:** გიორგი გობეჯიშვილი, **38 კგ:** ლაშა გობეჯიშვილი, **42 კგ** ირაკლი ჯაშიაშვილი, **47 კგ:** ირაკლი გამყრელიძე, **53 კგ:** ვიტალი კაკრიაშვილი, **59 კგ:** ნიკა რეხვიაშვილი, **66 კგ:** ჯუმბერ ბიძიშვილი, **73 კგ:** ბაკურ ჩიხრაძე, **მძიმე წონაში** რომან გუგეშაშვილი.

**ონის ბავშვთა სპორტული**
**სკოლის დირექტორი რ. ძირგვლიძე**

# „ლოკომოტივმა" ანგარიში ჩააბარა

საქართველოს რკინიგზის სამტრედიის ტერიტორიულ სამმართველოში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" რაიონული საბჭოს მეორე საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა და სიტყვით გამოვიდა სამმართველოს პროფრაიკომის თავმჯდომარე ერმალო ვაშაკიძე. საანგარიშო მოხსენება გააკეთა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ლეო გეგეშიძემ. კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს როგორც წარმატებებზე, ისე ნაკლოვანებებზე, დასახეს სამომავლო ამოცანები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს რკინიგზის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯუმბერ ხუბუა.

**იორამ ნიკოლეიშვილი, სამტრედია, „ლელოს" კორ.**

# ფეხბურთში საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატის წინ

## „სიონი" ლაგოდეხში წავიდა

ბოლნისის „სიონი" ახალი სეზონისთვის მზადებას თბილისში მძლეოსნობის მანეჟში შეუდგა, 5 ივლისიდან კი მოსამზადებელ ეტაპს ლაგოდეხში აგრძელებს. მთავარ მწვრთნელს თემურ მახარაძეს დიდი მუშაობა უწევს. გუნდი, ფაქტობრივად, ახლიდანაა დასაკომპლექტებელი. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი წავიდა კლუბიდან, მათი სათანადო შემცვლელების მოძებნა კი იოლი არ არის.



„სიონს" წინ ეროვნული ჩემპიონატი, თასის გათამაშება და, პირველად კლუბის ისტორიაში, უეფას თასზე ასპარეზობა ელის. ლაგოდეხში ჩასვლამდე „სიონმა" საკონტროლო მატჩი წააგო „მცხეთასთან" 0-1. ყველა სიძნელეების გათვალისწინებით, გუნდის თავკაცი თემურ მახარაძე მაინც იმედოვნებს, რომ მნიშვნელოვანი მატჩებისთვის და ტურნირებისთვის ბოლნისელები ღირსეულად მოემზადებიან, ლაგოდეხის ბაზაზე ვარჯიშები და საკონტროლო მატჩები გუნდს სასიკეთოდ წაადგება და შემადგენლობაც ჩამოყალიბებულ, საბოლოო სახეს მიიღებს.

## „ტორპედო" ალბენაშია

ქუთაისელები ბულგარეთის კურორტ ალბენას ორი კვირით ესტუმრნენ. საწვრთნელ შეკრებაზე ბულგარულ და რუმინულ გუნდებთან ოთხი საკონტროლო მატჩია დაგეგმილი. გუნდში გორიდან გადმოვიდნენ: მეკარე — სომხიშვილი და ფორვარდი — მუშკუდიანი, წყალტუბოდან ჩხეტიანი და ფესტვენიძე, თბილისის „დინამოდან" გიორგაძე, ფოთიდან კვერნაძე. „ტორპედოს" საბულგარეთო სრული შემადგენლობა ასეთია: მეკარეები: ზვიად სტურუა, გიორგი სომხიშვილი, ნუკრი რევიშვილი; მცველები — ვახტანგ ხვადაგიანი, ლაშა ჭელიძე, მიხეილ მახვილაძე, დავით გამეზარდაშვილი, სევასტი თოდუა, გიორგი ნერგაძე, გიორგი გოგოლაძე; ნახევარმცველები — კახა კვეტენაძე, ანდრეი პოროშინი, ალექსანდრე ლალაძე, შოთა ბაბუნაშვილი, რომან ახალკაცი; თავდამსხმელები: ზვიად ქუთათელაძე, რევაზ კვერნაძე, გიორგი ჩხეტიანი, გაგა ჩხეტიანი, თედო ფესტვენიძე, ზურაბ მუშკუდიანი, გიორგი დარსაძე.

## არველაძე აკვირდება და არჩევს

ლოკომოტიველთა გერმანულ შეკრებამდე არაფერი რჩება. 12 ივლისიდან 22 ივლისამდე არველაძის შეგირდები რუიტის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამოს" ჩაანაცვლებენ.



მანამდე მწვრთნელი ფეხბურთელებს აკვირდება და არჩევს. ახლახან, საკონტროლო მატჩიც მოუგეს რკინიგზელებმა მოძმე „სპარტაკს" 3-1. გუნდში ფეხბურთელთა დიდი მოძრაობაა, ზოგიერთი მოდის, ზოგიერთი მიდის. კლუბიდან წავიდნენ: კვარაცხელია, კაკაშვილი და გილაური. გაურკვეველია, კიევის „დინამოში" ლომაიას გადასვლის ამბავი. გუნდს შემოემატნენ — საბერძნეთიდან დაბრუნებული ლევან ბერიშვილი და მერანელი თუთარაშვილი. გუნდში აშკარაა მეკარეთა მოზღვავება, თანაც, თითქმის თანაბარი დონისა. ამჟამად, გუნდში 35 ფეხბურთელია, რომლებიც, ალბათ გაიცხრილებიან, ფარმ კლუბებში გადანაწილდებიან და გერმანიაში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაც დაიხვეწება და გამოქვეყნდება.

## „დინამოს" ლეგიონერები დაიწუნა და მელქაძეს მოუხმო

ორი დღის განმავლობაში, რუიტში მყოფმა თბილისის „დინამომ" ორი საკონტროლო მატჩი გამართა. ბუნდესლიგურ „მიუნხენთან" ჩვენები დამარცხდნენ 1-2, მეორე დღეს კი სამოყვარულო „ფროიდენხაიმი" 8-0 გაანადგურეს. ამ მატჩებმა ცხადი გახადა, რომ შუშაკი აღარ დატოვებს სერბ ლაკიჩს, სლოვაკ კოვაჩს და არგენტინელ გუერას, ისინი კლუბის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ. თუმცა, ერთი კარგი შენაძენი თბილისელებმა უკვე გააკეთეს. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს" დაეხმარება „ვიტ ჯორჯიას" მეგოლე და შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი ლევან მელქაძე. იგი უკვე რუიტშია და ახალ თანაგუნდელებს შეუერთდა. გერმანიაში ჩავიდა ბრაზილიელი ლეგიონერი კარ-



ლოსი, მის გარდა ჩვენი ჩემპიონის რიგებში კიდევ ორი ბრაზილიელი შეიძლება გაისინჯოს და თუ დაიტოვეს საქართველოს ჩემპიონის რიგებში, ერთგვარად, სამხრეთამერიკული მინიდიასპორა დაფუძნდება. „დინამო" გერმანიაში 12 ივლისამდე დარჩება, კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს და მერე შინ გააგრძელებს ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის მზადებას.

## „ვიტ ჯორჯიას" სამი მოაკლდა, ორი მიემატა

ინტერტოტოს თასზე განცდილი მარცხის შემდეგ კლუბს რომ მწვრთნელი შეეცვალა, ცნობილია, გუნდი დატოვა სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა. ლევან მელქაძე თბილისის „დინამოშია", ოლეგ გველესიანი - დონეცკის „მეტალურგში", გიორგი ყიფიანი კი ოსეთის გზას დაადგა და ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" გადავიდა. ვიტელთა თავკაცებმა ცვლილებათა განსახორციელებლად თადარიგი დაიჭირეს და გუნდში ახალი ფეხბურთელები მიიწვიეს — ფორვარდი, უკრაინის „კრივბასიდან" დაბრუნებული რევაზ გოცირიძე და რუსთავის „გორდას" ყოფილი ფეხბურთელი, მცველი ზვიად ლაბაძე.

## ალმასკომზე იმსჯელებენ და ნაკრებს მწვრთნელს დაუნიშნავენ

რამდენიმე დღეში სფფ-ს აღმასკომი შეიკრიბება და საკმაოდ დატვირთული გრაფიკით იმუშავებს. წლევანდელ მეორე სხდომაზე, დაახლოებით, ათამდე საკითხი განიხილება. უმთავრესი, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატის დამტკიცება. სავარაუდოდ, სხვა საკითხების ჩამონათვალში შევა: ფეხბურთის მსაჯთა აკადემიის შექმნა, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეების დამტკიცება, აღმასკომი იმსჯელებს XV ეროვნული ჩემპიონატის და თასის XIV გათამაშების რეგლამენტის და სფფ-ს სადისციპლინო დებულების შესახებ, შეაჯამებენ შარშანდელ საფინანსო-სამეურნეო მუშაობის შედეგებს და სამომავლო გეგმებს დასახავენ. დღის წესრიგის სხვადასხვა საკითხებში გათვალისწინებულია – „ბავშვთა დია სახალისო ფეხბურთის" დანერგვა საქართველოში, 13 მაისის „ქართული ფეხბურთის დღედ" გამოცხადება, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მსაჯობიდან საკმაო ხნით მოკვეთილი მსაჯის ალექსანდრე კრიჭაშვილის რეაბილიტაცია, რუსეთის ნაკრებთან ჩაშლილი მატჩის გამოძიების შედეგები. სხდომამდე შესაძლებელია განსახილველი საკითხები შეიცვალოს ან შეივსოს კიდეც.

## ინსპექტორებს ტესტებს ჩაუტარებენ

ეროვნული ჩემპიონატი ორ კვირაში, შაბათს, 26 ივლისს დაიწყება. სამი დღის მერე, 29 ივლისს კი მატჩების ინსპექტორები მერხებს მიუსხდებიან და სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს ტესტებს ჩააბარებენ. ეროვნული ჩემპიონატის ინსპექტორები სფფ-ში უნდა წარმოადგინონ ფეხბურთის რეგიონულმა, საქალაქო ასოციაციებმა. ინსპექტორთა ასაკი განსაზღვრულია 45 წლიდან 70 წლამდე. აუცილებელი პირობაა ფეხბურთში მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი. ტესტების ჩაბარებას დაიწყებენ უმაღლესი ლიგის მატჩების ინსპექტორები, ისინი სფფ-ში 29 ივლისს 12 საათზე უნდა გამოცხადდნენ, პირველი ლიგის მატჩების ინსპექტორები 30 ივლისს, ასევე 12 საათზე. ისინი, ვინც დადგენილ ვადებში არ გაივლიან ტესტირებას, თამაშებზე არ დაიშვებიან. ტესტირებისთვის ინსპექტორმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №286
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან (საფეხბურთო კლუბების თანამშრომლები ინსპექტორებად არ დაიშვებიან).
3. ორი ფოტოსურათი 3X4-ზე
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
5. დიპლომი (ასლი)
6. პასპორტი (ასლი)

შენიშვნა: ჩამოთვლილი საბუთების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კანდიდატურა არ განიხილება.

## ნაკრები ეროვნულზე, ახალგაზრდული ბოლნისში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთი საშინაო მატჩი დარჩა ჩასატარებელი ალბანელებთან. გადაწყვეტილი ამბავია, სექტემბერში ეროვნული გუნდი ალბანელებს ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს. ამის მომხრეა ნაკრების თავკაცობაც და სფფ-ს ხელმძღვანელობაც. ეროვნული სტადიონიდან ბოლნისის თემურ სტეფანიას სახელობის არენას მიაკითხავს რევაზ არველაძის ოლიმპიური გუნდი და ალბანელ თანატოლებს განახლებულ, კოხტა სტადიონზე მიიღებს.

## ბათუმის „დინამო" მზადებას აგრძელებს

***ბათუმის „დინამოს" ისევ ასლან ბალაძე უთავკაცებს, კონსულტანტი კი ბათუმური გუნდის არაერთი წარმატების სულისჩამდგმელი, გამოცდილი ვალერიან ჩხარტიშვილი იქნება, რომელიც კლუბის ახალგაზრდულ გუნდებს გაუწევს კურირებას. საწვრთნელი შეკრებისას „დინამო" გაიცხრილება და გუნდში 22 ფეხბურთელი დარჩება. გადაწყვეტილია, მზადებას ზღვისპირელები მეზობლად თურქეთში გააგრძელებენ. მანამდე, ბალაძის შეგირდებმა, რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართეს, მოუგეს „თბილისს" 2-1, ორჯერ ეთამაშნენ ქუთაისის „ტორპედოს", რომელთანაც ერთი წააგეს 0-3, მეორე კი ფრედ 1-1 დაასრულეს.***

***როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატი ამ გუნდისთვის უაღრესად არასახარბიელო შედეგით დამთავრდა. დიდი ტრადიციების ბათუმის „დინამო", ერთ დროს ფავორიტად რომ ითვლებოდა, აგერ ხუთი წელიწადია ზეექვსეულშიც ვერ ხვდება და წლეულს ლამის უმაღლესი ლიგის დატოვებაც მოუხდა. მხოლოდ მეორე წრეში დიდი ვაი-ვაგლახით გამოასწორა ჩავარდნა, როგორც იქნა გუნდმა შეინარჩუნა უმაღლეს ლიგაში ადგილი. მთავარ მწვრთნელს ასლან ბალაძეს ვთხოვეთ გაეანალიზებინა გასული წლის საფეხბურთო სეზონი.***



„აბა რა მეთქმის. ყველამ კარგად იცის, სამი წლის წინათ რა ვითარებაში ჩავიბარე „დინამო". მიმდინარეობდა თაობათა ცვლა, სხვადასხვა რგოლის ცხრა მოთამაშეც გამოგვაკლდა, თუმცა, არც იმას უარვყოფ, რომ თავადაც მქონდა შეცდომები. ვფიქრობ, სათანადო გამოცდილება მაკლდა" — თქვა საუბრის დასაწყისში **ა. ბალაძემ.**

● ***რამდენად გაამართლა ტრანსფორმირების პროცესმა, რომელ ფეხბურთელებს შეაფასებდით დადებითად?***

— ზოგმა გაამართლა, ზოგმა ვერა. ისე, ძალიან ვემადლიერები ცენტრალურ მცველს გუშარაშვილს, ნახევარმცველ შენგელიას. მოკლედ, ლიდერები არიან, ქებას იმსახურებენ აგრეთვე ნიკუშა ფურცხვანიძე, ზაზა ბეჟანიძე, ზურაბ დუმბაძე, რაც შეეხება ვიტალი დარჩიძეს, კახა კობიძეს და კახა ქაცარავას, მათგან უფრო მეტს მოველოდით. ვთვლი, რომ მათთან სპეციალური გრაფიკით არის საჭირო მუშაობა.

● ***ბატონო ასლან, გუნდის შემადგენლობაში ახლაც მოსალოდნელია ცვლილება?***

— ჯერჯერობით 32 ფეხბურთელი გადის წვრთნას. გუნდიდან არავინ წასულა, პირიქით, ექვსი ახალი მოთამაშე მოვიწვიეთ და ჩვენთან გადიან მზადებას. ესენი არიან: მცველები — ზვიად მეგრელიშვილი და ბორის შელია (თბილისის „დინამო-2"), ნახევარმცველები - მიხეილ თაყაძე (გორის „დილა"), ნუკრი მანჩხავა (თბილისის „დინამო"), თავდამსხმელები — ირაკლი ებანოიძე (თბილისის „დინამო"), ვალერი გაგუა (ფოთის „კოლხეთი1913").

● ***რომელ რგოლში გაქვთ სერიოზული პრობლემები?***

— როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავდასხმაში გვიჭირს.

● ***თქვენი აზრით, ვინ მოიგებს ახალ ჩემპიონატს?***

— ვფიქრობ, თბილისის „დინამო", იგი დღესდღეობით ძალიან ძლიერი



და შეკრული გუნდია. გამორიცხული არაა მას მედგარი წინააღმდეგობა ქუთაისის „ტორპედომ", „ლოკომოტივმა" და „ვიტ ჯორჯიამ" გაუწიოს. ჩვენი მიზანია პირველ ექვსეულში მოხვედრა და ევროტურნირის საგზურის მოპოვება.

წვრთნას 25 ივნისიდან შევუდექით, უკვე გავმართეთ საწვრთნელი მატჩი გრიგოლეთში, ყვავილნარში „მერანთან" და მოვიგეთ — 2-1. გოლები ბესო თედორაძემ და გოგა სეფერთელაძემ გაიტანეს. მეორე ეტაპის მზადებას თურქეთში ან ბულგარეთში გავივლით, ხოლო დასკვნით მონაკვეთს ისევ ბათუმში. დაგეგმილი გვაქვს 5-6 საწვრთნელ-საკონტროლო მატჩის გამართვა უცხოურ კლუბებთან. ამასობაში ჩემპიონატის დროც მოვა.

● ***და ბოლოს, რით ახსნით, იმ ფაქტს, ჩვენს სტადიონებზე ძალიან ცოტა გულშემატკივარი რომ დადის. არადა, იყო დრო, როცა ზღვა მაყურებელი ესწრებოდა მატჩებს.***

— დიახ, წინათ სხვა იყო. ახლა ოსტატობის დონე დაეცა, თანაც როგორ. აი მიზეზი ეს არის. გავა ცოტა დრო და, როცა ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად მოძლიერდება, სურათიც რადიკალურად შეიცვლება.

**ესაუბრა ოთარ მურვანიძე „ლელოს" სპეც. კორ. აჭარაში**

# საქართველოს 2003-2004 წლების XV ეროვნული ჩემპიონატის

# რეგლამენტი

## პროექტი

4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატის კალენდარი დგება სფფ-ში ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე.

4.2. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი მოაწყონ საზეიმო ვითარებაში და საქართველოს ჰიმნის თანხლებით აღმართონ ეროვნული დროშა.

4.3. XV ეროვნულ ჩემპიონატში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება–3 ქულა, ფრე–1 ქულა, წაგება–0 ქულა.

4.4. თუ ორმა გუნდმა დააგროვა თანაბარი ქულები, ყველა ლიგაში ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე (თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში იმოქმედებს ვერცხლის გოლის წესი);

– დამატებითი დროის 15-წუთიანი ტაიმი.

– თუ გუნდებს შორის კვლავ ფრეა, ინიშნება დამატებითი დროის მეორე 15-წუთიანი ტაიმი.

– თუ გუნდებს შორის კვლავ ფრეა, ინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (პენალტები). ხოლო მომდევნო ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

4.4.1. მოგებათა მეტი რაოდენობა (უმაღლეს ლიგაში ამ პრიორიტეტით აქ და ქვემოთ გაირკვევა ჩემპიონატის I ეტაპის შედეგები, ხოლო ჩემპიონატის საბოლოო შედეგების გამოსავლენად აქ და ქვემოთ იგულისხმება II ეტაპის შედეგები);

4.4.2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა, ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში მოწინააღმდეგის მოედანზე მეტი გოლი აქვს გატანილი);

4.4.3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4.4.4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

4.4.5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

4.4.6. ფეარ-ფლეის შედეგები.

4.4.7. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონის გამოსავლენად სამი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულებს, მოქმედებს იგივე პრინციპი, რაც მომდევნო ადგილებისთვისაა პრიორიტეტული (პუნქტები 4.4.1, 4.4.2, 4.4.3, 4.4.4, 4.4.5, 4.4.6, 4.4.7.).

4.6. ფლეი-ოფის და გადადებული თამაშების თარიღს და ადგილს ადგენს სფფ.

4.7. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 18 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომრები მაისურზე.

4.8. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.9. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების კაპიტნები, გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.

მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა): მწვრთნელი, გუნდის უფროსი, მწვრთნელის ასისტენტები, ექიმი, მასაჟისტი, ადმინისტრატორი, სათადარიგო ფეხბურთელები (7 მოთამაშე). სულ 13 კაცი, რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები სხდებიან საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილებზე. მინდვრიდან გაძევებულ მოთამაშეს სათადარიგოებს შორის ყოფნა ეკრძალება.

4.10. მასპინძელი გუნდი მატჩის დამთავრებისთანავე ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს სფფ-ს დირექტორს ვიდეო-ფირი, რომელიც კლუბს უკან დაუბრუნდება 2 დღის ვადაში.

4.11. მატჩის მსაჯები და ინსპექტორი ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მონაწილის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მონაწილის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. მსაჯები და ინსპექტორი აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯებისა და ინსპექტორის მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა.

4.12. უმაღლეს და I ლიგაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს 4 სათამაშო ბურთი, ხოლო რეგიონული ლიგის გათამაშებაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 2 სათამაშო ბურთი. ბურთებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

1. FIFA APPROVED
2. FIFA INSPECTED
3. INTERNETIONAL STANDARTS
4. COMPETITION PRO

4.13. XV ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და I ლიგის კალენდარულ მატჩებში ნებადართულია სამი ფეხბურთელის შეცვლა, ხოლო რეგიონულ ლიგაში–ხუთი ფეხბურთელისა.

4.14. სფფ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლუბთან შეთანხმებით, შეამოწმოს გუნდში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სათანადო დოკუმენტაცია.

4.15. ტექნიკური ზონა სათადარიგოთა სკამის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან თითო მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო საფეხბურთო მოედნის გვერდითა ხაზიდან – არაუმეტეს 1 მეტრით.

4.16. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე.

4.17. თამაშის დროს სათამაშო კარების უკან შესაბამის ადგილას, დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპონდენტებს, ტელეოპერატორებს (რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია) და ბურთის მომწოდებელ ბავშვებს.

4.18. გუნდებს თამაშის გადატანა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნულ, ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულია მათი 2 ან მეტი ფეხბურთელი.

4.19. კლუბები ვალდებულნი არიან სფფ-ში ოფიციალურად (ფაქსით ან დეპეშით) განაცხადონ თანხმობა ჩემპიონატში მონაწილეობაზე: უმაღლესი და I ლიგის გუნდებმა – 2003 წ. 1 ივლისამდე, რეგიონული ლიგის გუნდებმა კი – 2003 წ. 30 ივლისამდე.

4.20. კლუბებმა სფფ-ში უნდა ჩარიცხონ საწევრო შესატანი: უმაღლესი ლიგის გუნდებმა – 22 ათასი ლარი, I ლიგის გუნდებმა – 12 ათასი ლარი, ხოლო რეგიონული ლიგის გუნდებმა 5 ათასი ლარი 14 გუნდის მონაწილეობის შემთხვევაში, ხოლო 6 ათასი ლარი 16 გუნდის მონაწილეობის შემთხვევაში.

***სფფ-ს მიმართ ყველა სახის გადასახადი (დავალიანება) დაფარული უნდა იყოს გუნდების განაცხადების წარმოდგენამდე (საგარანტიო წერილები არ მიიღება).*** გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში გუნდი არ დაიშვება I ტურის კალენდარულ მატჩზე და ჩაეთვლება ტექნიკური წაგება 0:3, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3:0, ხოლო თუ გადასახადები დაფარული არ იქნება II ტურის კალენდარულ მატჩამდე, გუნდი მოიხსნება მიმდინარე გათამაშებიდან.

4.21. სფფ-ს რეკვიზიტებია: სს საქართველოს ბანკი, ა/ა 005700126, ბანკის კოდი 220101502, სფფ-ს საიდენტიფიკაციო კოდი 201990079.

4.22. მასპინძელი გუნდი ვალდებულია, შეტყობინების საფუძველზე, სტუმართა გუნდს ერთი დღით ადრე დაუჯავშნოს სასტუმროში არანაკლებ 30 ადგილი, დაეხმაროს მას კვებისა და შინ გამგზავრების ორგანიზებაში. თამაშის წინა დღეს სტუმარი გუნდის მოთხოვნის საფუძველზე მასპინძელმა გუნდმა უზრუნველყოს სავარჯიშო მოედანი.

4.23. უმაღლეს ლიგაში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია ვიდეოფირზე ჩაიწეროს ჩემპიონატისა და თასის ყველა თამაში და მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს სფფ-ს. მატჩის ვიდეოფირის უქონლობის შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება 100 ლარით. ყოველ მომდევნო შემთხვევაში კი - გაორმაგებული თანხით.

4.24. მოთამაშეს მაისურზე მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს თავისი კლუბის ემბლემა. უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელებს მაისურის მარჯვენა მკლავზე–სფფ-ს ლოგო, ხოლო მარცხენა მკლავზე ემბლემა რასიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ (სფფ-ს და რასიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ ემბლემებს კლუბებს მიაწოდებს სფფ).

მაისურზე ნომრის ზომებია: სიმაღლე–25სმ, ხაზის სიგანე–3სმ. თუ მაისური ზოლიანია, მაისურზე ნომრები თეთრ ფონზე უნდა იყოს აღნიშნული. მეკარის ფორმა მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯთა ფორმის ფერებისაგან.

4.25. გუნდს უნდა გააჩნდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს სფფ-ს განაცხადის შეტანის დროს.

4.26. უმაღლესი ლიგის გუნდები მატჩის წინ და მატჩის დროს მოთელვაზე გამოდიან მაისურებით, რომელზეც წარწერაა: „ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ" (მაისურებს მიაწოდებს სფფ).

4.27. უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბი ვალდებულია საშინაო თამაშებზე სტადიონზე დააყენოს სარეკლამო ფარები რასიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ (ფარებს მიაწოდებს სფფ).

4.28. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს 2 კვალიფიციური მედპერსონალი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სახანძრო მანქანები, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა.

4.29. კლუბი ვალდებულია გუნდიდან განთავისუფლებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს სფფ-ის შესაბამის კომიტეტს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს სფფ-ს ამ ფეხბურთელის გუნდიდან წასვლის შესახებ.

სეზონის უკანასკნელი მატჩის შემდეგ ყველა ფეხბურთელის ბარათი უნდა ჩაბარდეს მატჩის დირექტორს, რომელიც გადაეცემა სფფ-ს შესაბამის კომიტეტს.

4.30. დირექტორი (ინსპექტორი) ვალდებულია მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ჩაატაროს თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები, შსს-ს თანამშრომელი, მსაჯები, სტადიონის დირექტორი, მასპინძელი გუნდის უსაფრთხოების ოფიცერი. გუნდის წარმომადგენელი, რომელიც დროულად არ გამოცხადდება მატჩის წინა თათბირზე, დაჯარიმდება 100 ლარით. ყოველი მომდევნო არ გამოცხადება დაისჯება გაორმაგებული თანხით. დირექტორის (ინსპექტორის) მიერ მითითებული შენიშვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მატჩი არ გაიმართება.

4.31. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს სფფ. თამაშები მაისში და აგვისტოში დაიწყება 18.00 სთ-ზე, სექტემბერში–17.00 სთ-ზე, ივნისში და ივლისში 19.00 სთ-ზე, აპრილსა და ოქტომბერში–16.00 სთ-ზე, თებერვალში, მარტში და ნოემბერში 15.00 სთ-ზე, დეკემბერში კი 14.00 სთ-ზე.

გუნდებს, სფფ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ მატჩები ჩაატარონ უფრო გვიან, ხელოვნური განათების ქვეშ.

4.32. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ინსპექტორი და მთავარი მსაჯი ვალდებულია შეამოწმოს მატჩზე მოსული გუნდის ფეხბურთელების ბარათები, ამის შემდეგ დამსწრე გუნდი და მსაჯები ვალდებულნი არიან სათამაშო ფორმით გავიდნენ მოედანზე დადგენილი თამაშის მსვლელობა

4.33. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში მატჩის დირექტორს (ინსპექტორს) უფლება აქვს არ ჩაატაროს მატჩი. საკითხი განსახილველად გადაეცემა სადისციპლინო კომიტეტს.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5.1. გუნდების განაცხადების მიღებას და ფეხბურთელების დამტკიცებას აწარმოებს ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტი.

5.2. კლუბიდან კლუბში ფეხბურთელთა გადასვლას აწარმოებს ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტი, ხოლო სადავო საკითხებს განიხილავს სფფ-ს სატრანსფერო კომისია.

5.3. გუნდების განაცხადების მიღება იწარმოებს მას შემდეგ, რაც კლუბები წარმოადგენენ სარეგისტრაციო საბუთებს.

5.4. XV ეროვნული ჩემპიონატში ყველა ლიგაში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან დადგენილი განრიგის მიხედვით სფფ-ში წარმოადგინონ:

– საფეხბურთო კლუბის რეგისტრაციის მოწმობა.

– კლუბის დაფუძნების დოკუმენტები: საფეხბურთო კლუბის წესდება, სადამფუძნებლო ხელშეკრულება და დამფუძნებელთა შემადგენლობა.

– საფეხბურთო კლუბის იურიდიული კოორდინატები და ბანკის რეკვიზიტები (ტელეფონი, ფაქსი, სტადიონის, ბაზის და ოფისის ნომრები).

– საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, პასუხისმგებელი მდივანი, მწვრთნელი, უსაფრთხოების ოფიცერი და სხვა), მათი მისამართები და ტელეფონები.

– საბუთები საფეხბურთო კლუბის სტრუქტურის შესახებ, მათ შორის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საბავშვო სკოლის ფუნქციონირებას (სამი ასაკობრივი ჯგუფის გუნდი).

– ხელშეკრულება სტადიონის მფლობელის ან იჯარის შესახებ და ბეჭდით დამოწმებული სტადიონის ტექნიკური პასპორტის ასლი.

– საფეხბურთო კლუბის ხელშეკრულებები ძალოვან სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან მატჩების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ.

– ბანკის მიერ დამოწმებული–საგადასახადო დავალება ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე ჩემპიონატის რეგლამენტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის შესახებ.

– სათამაშო ფორმის ორი მკვეთრად განსხვავებული კომპლექტი ფერების ჩამონათვალით (მაისური, ტრუსი, გეტრი).

– გუნდის განაცხადი 3 ეგზემპლარად;

– გუნდის ფერადი ფოტოსურათი ზომით 18X13;

– მოთამაშეთა და მწვრთნელთა კონტრაქტები.

– მოთამაშეთა პასპორტების ასლები;

– მოთამაშეთა ახალი ბარათები სურათით.

– უმაღლესი ლიგის გუნდებმა ფეხბურთელის ბარათის ფერადი სურათი 2-2 ცალი, პრეზიდენტის და მთავარი მწვრთნელის თითო ფერადი სურათი.

– სავალდებულო დაზღვევა — სფფ-ს ტენდერში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანიის მიერ განაცხადში შეყვანილი მწვრთნელების და ფეხბურთელების დაზღვევა.

– საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია ჩემპიონატის დაწყებამდე გაიაროს თეორიული ლექციების კურსი ფეხბურთის წესების შესახებ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით.

**– უმაღლესი ლიგის კლუბები ვალდებულნი არიან ზემოთ ჩამოთვლილ საბუთებთან ერთად, წარმოადგინონ ყველა დოკუმენტი ლიცენზირების ეროვნული სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.**

5.5. XV ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას, ყველა ლიგაში თითოეული გუნდის განაცხადში შეიძლება შეყვანილი იყოს 30 ფეხბურთელი. თუ გუნდი დაამტკიცებს 30-ზე მეტ ფეხბურთელს, იგი ვალდებულია გადაიხადოს 100 ლარი ყოველ დამატებულ ფეხბურთელზე.

5.6. განაცხადში ფეხბურთელის ადგილი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მას გაიწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან სფფ გასცემს საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატს.

**5.7. ნებისმიერ ლიგაში, ნებისმიერ დროს ყველა გუნდისთვის ნებადართულია ბავშვთა სკოლიდან ფეხბურთელთა დამტკიცება.**

5.8. გუნდის განაცხადი მოწმდება რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის, კლუბის პრეზიდენტის, გუნდის ექიმის ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით.

5.9. კლუბის ძირითადი გუნდისათვის სათანადო რეზერვების მომზადების

იყოლიოს სარეზერვო გუნდი (ე.წ. ფარმკლუბი) ნებისმიერ ქვედა ლიგაში, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული უნდა იყოს 1983 და მომდევნო წლებში დაბადებული ჭაბუკებით. ფარმ-კლუბს უფლება აქვს დაამტკიცოს 1982 წელს დაბადებული 4 ფეხბურთელი

5.10. აკრძალულია ერთი კლუბის ორი გუნდის (ფარმ-კლუბი) მონაწილეობა ერთ ლიგაში. თუ ფარმკლუბი თავის ლიგაში დაიკავებს იმ ლიგაში გადასასვლელ ადგილს, რომელშიც მონაწილეობს მისი ძირითადი გუნდი, ამ შემთხვევაში, მაღალ ლიგაში მონაწილეობის უფლება ენიჭება ფარმკლუბის შემდგომ, მომდევნო ადგილზე მყოფ გუნდს.

5.11. უმაღლესი ლიგიდან გადასვლა ფეხბურთელს შეუძლია I ლიგისა და რეგიონული ლიგის გათამაშების პირველ ოფიციალურ მატჩამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ფეხბურთელი დამტკიცებული იყო უმაღლესი ლიგის განაცხადში, მაგრამ არც ერთი თამაშის ოქმში არ იყო შეყვანილი.

5.12. უმაღლესი და I ლიგის გუნდს უფლება აქვთ ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს თავისი ფარმკლუბის არაუმეტეს 5 ფეხბურთელი. ზემოთაღნიშნულ რაოდენობაში (ოქმში 5 ფეხბურთელი) აგრეთვე შესაძლებელია შეყვანილ იქნას ჭაბუკთა პირველობიდან 1985-86-87 წლებში დაბადებული მოთამაშეები, რომელთაც ასევე უფლება ეძლევათ იმავე რაოდენობით (5 ფეხბურთელი ოქმში), იასპარეზონ ძირითადი გუნდის ფარმ კლუბში.

5.13. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ ფეხბურთელებს, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის თანხმობით ნებისმიერ დროს უფლება აქვთ ითამაშონ იმ ქალაქის გუნდში, სადაც განლაგებულია მათი სამხედრო ნაწილი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მიმდინარე ჩემპიონატში გამოდიოდნენ სხვა გუნდის შემადგენლობაში.

5.16. არმიულ გუნდებს უფლება აქვთ საქართველოს სამხედრო სამსახურში გაწეულ მოთამაშეებთან დადონ არაუმეტეს 2-წლიანი კონტრაქტი.

5.17. არმიულ გუნდებს უფლება ეძლევათ ჩემპიონატის მსვლელობისას განაცხადში დამატებით შეიყვანონ სამხედრო სამსახურში გაწვეული ფეხბურთელები.

5.18. სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებულ ფეხბურთელს უფლება ეძლევა ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს თამაში გააგრძელოს ნებისმიერ გუნდში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

*დასაწყისი იხ. „ლელო" №50*

# ბავშვთა ფეხბურთი

## „დინამო-92" - რჩეულთა შორის რჩეული

დასრულდა ქალაქის ჩემპიონატი ფეხბურთში 1991 წ. დაბადებულ ჭაბუკთა მონაწილეობით. ტურნირში თბილისის რაიონების 34 გუნდი ჩაება ორ წრედ. საუკეთესო გუნდები მეოთხედ და ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა ნორჩი „დინამო 92"-ის (მწვრთნელი გოჩა ხიტირი) და „საბურთალოს" (მთ. მწვრთნელი კახა ამირიძე) გუნდები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ (0-0). პენალტებით გამარჯვება „დინამო 92"-ს (3-2) ხვდა წილად.

***მარცხნიდან I რიგში:*** მერეშკო მიხეილი, თავაძე ნიკოლოზი, ზარდიაშვილი ლექსო, თელია ლუკა, გუჩაშვილი გიგი, თევდორე გაფრინდაშვილი, გიორგი ნიჟარაძე, გურამ ქერაშვილი, გიორგი გიორგაძე;

***II რიგში*** მარცხნიდან მარჯვნივ: ელგუჯაური მინდია, ზურა გოგიჩაიშვილი, დათო მელაძე, შარტავა ლაშა, გიორგი პეტრიაშვილი, გეგა დიასამიძე, ლაშა სულაძე, ავთო ებრალიძე, მამაცაშვილი შალვა, გიორგი ილურიძე, თორნიკე ქორჩილავა.



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ფინალისტები ცნობილია

კვირას დასრულდა აფრიკის თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპი. გაირკვა ის 14 გუნდი, რომლებიც მომავალ წელს ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ შეჯიბრების მასპინძელთან — ტუნისისა და თასის მფლობელ — კამერუნის ნაკრებებთან ერთად.

საინტერესოა, რომ ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ ბენინის, რუანდისა და ზიმბაბვეს ნაკრებები, რომლებსაც აქამდე ასეთი პატივი არ ჰქონიათ... დიახ, მსოფლიო საფეხბურთო ენთროპია აფრიკაშიც მოქმედებს: წარმატებებს აღწევენ ისინი, რომელთა შესახებაც აქამდე არავინ არაფერი იცოდა.

***პირველი ჯგუფიდან*** ფინალური ეტაპის საგზური ვადამდე მოიპოვა ნიგერიის ნაკრებმა, რომელმაც ორჯერ მოუგო მალავის გუნდს, ხოლო ანგოლის ნაკრებთან გამართული ორივე მატჩი ფრედ დასრულდა.

***მეორე ჯგუფში*** ბოლო ტურამდე გაურკვეველი იყო გამარჯვებულის ვინაობა. გვინეას ნაკრებს ეთიოპიელთა გუნდის დამარცხებით 12 ქულა დაუგროვდა და პირველი ადგილი დაიკავა. 9-9 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ნიგერიისა და ეთიოპიის გუნდებმა. ხოლო 6 ქულით ბოლო ადგილზე „დამკვიდრდა" ლიბერიის ნაკრები.

***მესამე ჯგუფში*** საოცრებად მოინათლეს ბენინის გუნდი, რომელმაც 6 შეხვედრიდან 4 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა, 1 წააგო, დააგროვა 13 ქულა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და 2 ქულით გაუსწრო ზამბიის ნაკრებს.

***მეოთხე ჯგუფში*** აშკარა იყო ბურკინა-ფასოს ნაკრების უპირატესობა. ამ გუნდმა 13 ქულით მოიპოვა აფრიკის თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზური.

ამდენივე ქულით ***მეხუთე ჯგუფში*** პირველი ადგილი დაიკავეს კენიელებმა, რომლებმაც აჯობეს ტოგოს, კაბო-ვერდესა და მავრიტანიის გუნდებს.

***მეექვსე ჯგუფში*** 13-13 ქულა დააგროვეს მალისა და ზიმბაბვეს ნაკრებებმა. მალელებს ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ და ტუნისშიც ისინი გაემგზავრებიან.

***მეშვიდე ჯგუფში*** ერთი მატჩიც არ წაუგია მაროკოს ნაკრებს, რომლის ანგარიშზეც 5 მოგება და ერთი ფრე მოდის. საბოლოოდ მაროკოელებმა 16 ქულა დააგროვეს და 6 ქულით გაუსწრეს უახლოეს მდევარს — სიერა-ლეონეს გუნდს.

***მერვე ჯგუფში,*** როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი



10 ქულით სენეგალელებმა დაიკავეს, რომლებმაც ორჯერ სძლიეს ლესოტოს გუნდს, ხოლო გაბონელებთან ერთხელ გაიმარჯვეს, ერთხელაც დამარცხდნენ.

***მეცხრე ჯგუფის*** ბოლო ტურში ლიბიის ნაკრებს აუცილებლად 4 ბურთის სხვაობით უნდა მოეგო, რათა შემდგომ ეტაპზე გასულიყო. ლიბიელებმა წარმატებას კი მიაღწიეს, მაგრამ მათმა კონკურენტებმა კონგოელებმაც გაიმარჯვეს, 11 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს ჯგუფში და ერთი ქულით ჩამოიტოვეს ლიბიის გუნდი.

***მეათე ჯგუფში*** საუკეთესონი იყვნენ ეგვიპტელი ფეხბურთელები, რომლებმაც შესარჩევ ეტაპზე ყველაზე მეტი — 14 გოლი გაიტანეს. ეგვიპტელებმა საბოლოოდ 9 ქულა დააგროვეს და 3 ქულით გაუსწრეს მადაგასკარის გუნდს.

***მეთერთმეტე ჯგუფში*** სამხრეთ აფრიკის გუნდმა ორჯერ მოუგო აუტსაიდერს — ბურუნდის ნაკრებს, სპილოს ძვლის ნაპირის წარმომადგენლებთან კი ერთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

***მეთორმეტე ჯგუფის*** თამაშები 6-ქულიანი უპირატესობით მოიგეს ალჟირელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც 10 ქულა დააგროვეს, 4 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ჩადის ნაკრები.

***მეცამეტე ჯგუფში*** ფავორიტად მიჩნეულმა განის ნაკრებმა 4 ქულით ბოლო ადგილი დაიკავა. მთავარი სენსაცია კი რუანდის ნაკრები იყო, რომელმაც თავგანწირული ბრძოლით პირველი ადგილი დაიკავა — 7 ქულით და 2 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ უგანდას გუნდს.

საინტერესოა, რომ რუანდა აფრიკის თასის გათამაშების ფინალური ეტაპის ყველაზე პატარა ქვეყანაა მავრიკიის ნაკრების შემდეგ, რომლის დებიუტიც ამ მნიშვნელოვან ტურნირში... 30 წლის წინ შედგა.

მაშ ასე, ფინალური ეტაპის მონაწილეების სრული სია ასეთია: ტუნისი (მასპინძელი), კამერუნი (თასის მფლობელი), ნიგერია, გვინეა, ბენინი, ბურკინა-ფასო, კენია, მალი, მაროკო, სენეგალი, ძვ. კონგო, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა, ალჟირი, რუანდა და ზიმბაბვე (ამ უკანასკნელს საგზური მიეცა მეორეადგილოსანთა შორის საუკეთესო მაჩვენებლის გამო.

ფინალური ეტაპის კენჭისყრა მიმდინარე წელს, 20 სექტემბერს ტუნისში გაიმართება.

## „ჩელსი" თუ მსოფლიო ნაკრები?

„ღელოს" წინა ნომერში ჩვენ უკვე გწერდით რუსი ბიზნესმენის აბრამოვიჩის მიერ ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის" აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვის თაობაზე. დღეს გაგაცნობთ აბრამოვიჩის უახლოეს გეგმებს, რომლის სრულად შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა, „ჩელსიში" თავი მოუყაროს მსოფლიოს ნაკრებს.



აბრამოვიჩი

რუსი ნავთობმაგნატი რომან აბრამოვიჩი აქტიურად ჩაერთო სატრანსფერო ბაზრის ოპერაციებში. მან უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, კერძოდ, „ჩელსის" შუახაზისა და თავდასხმის გაძლიერებას პატრიკ კლოუვერტითა და ედგარ დავიდსით აპირებს. აგრეთვე მოლაპარაკებებს დაიწყებს ბრაზილიელი რივალდოს შეძენის მიზნით. „ჩელსის" გეგმაში აქვს ჯო კოულისა და გარი კიუელის გადაბირებაც.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ „ჩელსი" ჩაერთო რონალდინიოსათვის ბრძოლაში. ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით, კარგა ხანია ოფიციალური მოლაპარაკებები მიმდინარეობს „პარი სენ-ჟერმენსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის. ვნახოთ, როგორ კონკურენციას გაუწევენ აბრამოვიჩი და „ჩელსი" ინგლისის ჩემპიონს.

და კიდევ ერთი. აბრამოვიჩს თურმე ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნა მონდომებია და ეს პოსტი უკვე შეუთავაზებია „რომას" თავკაცისათვის ფაბიო კაპელოსთვის. ამ უკანასკნელს ინგლისში გადასვლაში ხელი შეიძლება იმან შეუშალოს, რომ მას კონტრაქტი „რომასთან" ორი წლის შემდეგ უმთავრდება, ხოლო „ჩელსის" ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ამა წლის აპრილში ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა გუნდთან... თუმცა, ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...



UEFA INTERTOTO CUP

## ინტერტოტოს თასზე

გაიმართა ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე ეტაპის პირველი მატჩები. გაგაცნობთ შედეგებს:

შახტიორი" (ბელარუსი) — „ციბალია" (ხორვატია) 1-1

„დაჩია" (მოლდოვა) — „პარტიზანი" (ალბანეთი) 2-0

„კოპერი" (სლოვენია) — „დუბნიცა" (სლოვაკეთი) 1-0

„თუნი" (შვეიცარია) — „ბრნო" (ჩეხეთი) 2-3

„სლობოდა" (ბოსნია) — „ლიერსი" (ბელგია) 1-0

„ტილბურგი" (ჰოლანდია) — „ვილი" (შვეიცარია) 2-1

„ოირგრიტე" (შვედეთი) — „ნიცა" (საფრანგეთი) 3-2

„პობედა" (მაკედონია) — „პაშინგი" (ავსტრია) 1-1

„მარეკი" (ბულგარეთი) — „ვოლფსბურგი" (გერმანია) 1-1

„ბრეშია" (იტალია) — „გლორია" (რუმინეთი) 2-1

„სიგოტი" (ჩეხეთი) — ოფკ (სერბეთი) 1-0

„სტ. ტრუიდენი" (ბელგია) — „ტობოლი" (ყაზახეთი) 0-2

„ლიბერეცი" (ჩეხეთი) — „შემროკი" (ირლანდია) 2-0

„ტამპერე" (ფინეთი) — „სუტიესკა" (სერბეთი) 0-0

„აჰერატტოჰი" (საბერძნეთი) — „ალიანსი" (ფინეთი) 0-1

„რასინგი" (ესპანეთი) — „დიერი" (უნგრეთი) 1-0.

## ვეტერანები ძველ დროს იხსენებენ

13 ივლისს უკრაინის დედაქალაქში გაიმართება საფეხბურთო მატჩი კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ვეტერან ფეხბურთელებს შორის. გულშემატკივრები იხილავენ საბჭოთა ფეხბურთის 70-80-იანი წლების ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან რინატ დასაევი, სერგეი გოროვცოვიჩი, ბორის პოზდნიაკოვი, ფედორ ჩერენკოვი, ვაგიზ ხიდიატულინი, გენადი მოროზოვი, გიორგი იარცევი, სერგეი როდიონოვი, გურამ აჯოევი, პაველ იაკოვენკო, ანდრეი ბალი, ალექსეი მიხაილიჩენკო, ვლადიმირ ბესონოვი, ოლეგ ბლოხინი.

ცნობილია, რომ ასეთი ამხანაგური მატჩები ხშირად ფრედ სრულდება ხოლმე. როგორც ჩანს, კიევური მატჩის ორგანიზატორი სრულიად სხვა რამეს ფიქრობს. დებულების თანახმად, თუ 80 წუთი გამარჯვებულ გუნდს ვერ გამოავლენს, დაინიშნება თერთმეტმეტრიანების სერია.

## „რეალმა" მაკმანამანი და მორიენტესი ტრანსფერზე დააყენა

ესპანეთის სამეფო კლუბმა მადრიდის „რეალმა" გამოაქვეყნა ტრანსფერზე წარდგენილი ფეხბურთელების სია. საინტერესოა, რომ გასაყიდად გამზადებულ ფეხბურთელთა სიაში აღმოჩნდნენ ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი და თავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი. აგრეთვე ახალგაზრდა ჰავბეკი ესტებან კამბიასო, რომლის ტრანსფერზე წარდგენასაც „რეალი" ერთ თვის წინ უარს აცხადებდა. სიაში არიან ფერემი ნეიტაპა, ფლავიო კონსეისაო, ალბერტ სელადესი, სანტიაგო სოლარი და პედრო მუნიტისი.

სულ ესპანური „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობამ 17 ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე.

სპეციალისტთა აზრით, ასეთი ცვლილებები დაკავშირებულია ახალი მწვრთნელის პოლიტიკასთან.

## როი კინის ავტობიოგრაფიის შესწორება მოუწევს

როგორც ბრიტანული გაზეთი „სანი" იუწყება ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ცნობილ ირლანდიელ ფეხბურთელს გამოუტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელმა თავისი სკანდალური ავტობიოგრაფიული წიგნის ერთი თავი უნდა გადააკეთოს, სადაც ლაპარაკია ალფ-ინგე ჰოლანდთან დაკავშირებულ ინციდენტზე. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი მატჩის დროს როი კინმა ფეხზე მძიმე ტრავმა მიაყენა „მანჩესტერ სიტის" მოთამაშეს ჰოლანდს, რომელიც იძულებული გახდა, ორი წლით ჩამოშორებოდა ფეხბურთს, წიგნში კინმა აღიარა, რომ მან მიზანმიმართულად ჩაარტყა ფეხში მოწინააღმდეგეს.

წიგნის გამოცემის შემდეგ, 2002 წელს, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ 250 ათასი ფუნტით დააჯარიმა გამომცემელი და ამავე დროს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც „გამოუწერა". ახლა კინი იძულებულია, ახალი წიგნი გამოსცეს გარკვეული შესწორებებით ჰოლანდთან დაკავშირებით. ახალი წიგნი დღის სინათლეს აგვისტოში იხილავს.

## ბალტიკის თასი ლატვიელებმა მოიპოვეს

გაიმართა ბალტიკის თასის ტრადიციად ქცეული გათამაშება. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ლატვიისა და ესტონეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრაში ესტონელებს აუცილებლად 7 ბურთის სხვაობით უნდა მოეგოთ, რაც ყველას არარეალურად ესახებოდათ. ტურნირის ბოლო მატჩში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის რეალური შანსები, მაგრამ საბოლოოდ ნულოვანი ფრე დაფიქსირდა, რომლის შედეგადაც მთავარ ჯილდოს ლატვიის ნაკრების ფეხბურთელები დაეუფლნენ.

ამ მატჩში გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ.

**ესტონეთი:** პოომი, მ. როობა, სტეპანოვი, იაგერი, უ. როობა, ლეეტმა, სმირნოვი (რეინუმაზი 69), კრისტალი, ვიიკმაზი (ზახოვაიკო, 75), ლინდპერე, ტერეხოვი (სახაროვი, 83).

**ლატვია:** პიედელსი, ზირნისი, ასტაფიევი, სმირნოვი, ლაიზანი, ბლაგონადეჟდინი, ისაკოვი, შტოლცერსი, მიხოლაპი (სემენოვი, 52), რუბინი, დობრეცოვი (ბლანკი, 76).

## კინი ათნომრიანი მაისურით ითამაშებს

„ტოტენჰემის" თავდამსხმელი რობი კინი მომავალ სეზონში მოირგებს ათნომრიან მაისურს, რომლითაც აქამდე ტედი შერინგემი თამაშობდა. საერთოდ, ამ ინგლისური კლუბისათვის ათი ნომერი ლეგენდარულია — ამ ნომრით თავის დროზე თამაშობდნენ ჯიმ გრივზი, გლენ ჰოდლი, გარი ლინეკერი...

## თეთრაძე მოთამაშე-მწვრთნელი გახდა

რუსეთის ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" ყოფილი მოთამაშე ომარ თეთრაძე კლუბ „ანჟის" მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა. „ანჟის" ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ომარ თეთრაძის გამოცდილება უთუოდ წაადგება გუნდს რუსეთის პრემიერ-ლიგაში დაბრუნებისთვის. შეგახსენებთ, რომ „ანჟი" ამჟამად რუსეთის პირველ დივიზიონში ასპარეზობს.

## ბახვა თედეევი ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" თავკაცობს



ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბის „სპარტაკ-ალანიას" ახალმა პრეზიდენტმა სერგეი ტაკოევმა ფეხბურთელებს მთავარი მწვრთნელის რანგში წარუდგინა კარგად ნაცნობი ბახვა თედეევი.

„სპარტაკ-ალანიასთვის" ეს წლევანდელი რიგით მეოთხე ახალი მწვრთნელია რევაზ ძოძუაშვილის, ალექსანდრე იანოვსკის და სტანისლავ ჩერჩესოვის შემდეგ.

## ჩვენს მეზობლებს ერთი მილიონი გამოუყვეს

უეფამ ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის პროგრამით 1 მილიონი შვეიცარიული ფრანკი გამოუყო ჩვენს მეზობლებს — რუსეთის საფეხბურთო კავშირს. ეს თანხა მოხმარდება რუსეთში მინი-ფეხბურთის სტადიონების მშენებლობას.

# „უილიამსი“ ძველ დიდებას იბრუნებს?

რალფ შუმახერმა ბრწყინვალე სტილში მოიგო საფრანგეთის „გრან-პრი“. საინტერესოა, რომ ეს იყო რალფისთვის ზედიზედ მეორე მოგებული „ფორმულა-1“-ის ეტაპი.

რალფ შუმახერმა საფრანგეთის „გრან-პრის“ რბოლა შესანიშნავად დაიწყო. სტარტიდანვე გადაუსწრო უშუალო კონკურენტებს მიხაელ შუმახერსა და



ხუან პაბლო მონტოიას, რომლებიც ისე მიაშტერდნენ შუქნიშანს, რომ კინაღამ უკან მდგომი კიმი რაიკინენი და დევიდ კულტჰარდი არ გაუშვეს წინ. ცოტა ხანში, რალფ შუმახერს უკან მისდევდა მონტოია, მესამე პოზიციაზე რაიკინენი იყო, მეოთხეზე — მიხაელ შუმახერი. პირველი წრე დასრულებული არ იყო, რომ რუბენს ბარიკელოს „ფერარი“ 360 გრადუსით ამოტრიალდა და უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა, რის შემდეგაც პილოტს მთელი „ეშელონის“ ჩამოტოვება მოუხდა და საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. ამ დროისათვის კი ლიდერი რალფ შუმახერი თანდათანობით ზრდიდა სხვაობას უახლოეს მდევრებთან.

შუა რბოლისას მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ მიხაელ შუმახერმა გადაუსწრო რაიკინენს და მესამე პოზიციაზე გადავიდა. რაიკინენი ამაოდ ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას. ის კი არა, ბოლო სამი წრე მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა (მწყობრიდან სამუხრუჭე სისტემაგამოსული მანქანით აგრძელებდა ბრძოლას), მაგრამ ვერაფერს მიაღწია ამით.

საბოლოოდ რალფ შუმახერი პირველი მიიჭრა ფინიშთან, მეორე იყო მონტოია, ხოლო მესამე — მიხაელ შუმახერი.

გაგაცნობთ საფრანგეთის „გრან-პრის“ ტექნიკურ შედეგებს:

1. რ. შუმახერი („უილიამსი“) — 1:30.49,213, 2. ხ. პ. მონტოია („უილიამსი“) — 1:31.03,026, 3. მ. შუმახერი („ფერარი“) — 1:31.08,781, 4. კ. რაიკინენი („მაკლარენი“) — 1:31.27300, 5. დ. კულტჰარდი („მაკლარენი“) — 1:31.29,502, 6. მ. უებერი („იაგუარი“) — 1:31.55,593 7. რ. ბარიკელო („ფერარი“), 8. ო. პანისი („ტოიოტა“), 9. ჟ. ვილნევი („ბარი“), 10. ა. პიცონია („იაგუარი“), 11. კ. და მატა („ტოიოტა“) — ჩამორჩენა ერთი წრით. 12. ჰ. ფრენტცენი („ზუბერი“), 13. ნ. ჰ ოტცფელდი („ზუბერი“) — ჩამორჩენა ორი წრით. 14. დ. უილსონი („მინარდი“), 15. რ. ფირმანი („ჯორდანი“) — ჩამორჩენა სამი წრით. 16. ი. ვერსტაპენი („მინარდი) — ჩამორჩენა 4 წრით.

# ოჯახური ფინალი და ბედნიერი ფედერერი

ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის — „უიმბლდონის“ ფინალური მატჩი ქალთა შორის „ოჯახური“ გამოდგა — დები უილიამსები. ფინალამდე ბევრი სპეციალისტი მიიჩნევდა, რომ სერენა გაიმარჯვებდა. ასეთი პროგნოზი არცთუ უსაფუძვლო იყო: ვინუს უილიამსი, მიუხედავად იმისა, რომ წელს საკმაოდ კარგ ფორმაშია, ფინალს ტრავმირებული ხვდებოდა. ზოგიერთი იმიტომაც ანიჭებდა უპირატესობას სერენას, რომ მას უიმბლდონის ტურნირი ერთხელ (შარშან) ჰქონდა მოგებული, ვინუსმა კი 2000 და 2001 წლის შეჯიბრებები მოიგო... როგორი იყო უილიამსების განწყობა ფინალურ მატჩამდე? სერენამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ვინუსი წელს ძალიან კარგ ფორმაშია, თუმცა მაინც დავამარცხებ. მართალია, ბოლო პერიოდში ჩემი თამაში არც თუ დამაჯერებელია, მაგრამ ეს არ შემიშლის ხელს, ზედიზედ მეორედ მოვიგო „უიმბლდონის ტურნირი“.

ვინუს უილიამსიც გამარჯვებას გეგმავდა: „ჩემთვის სულ ერთია, ვინ იმყოფება ბადის იქითა მხარეს. მე ორჯერ მოვიგე უიმბლდონის ტურნირი და შევეცდები, ეს წარმატება მესამედაც გავიმეორო“. თამაში ვინუსის უპირატესობით დაიწყო. მან შეძლო პირველი სეტის მოგებაც — 6:4, მაგრამ შემდეგ ტრავმამ შეაწუხა და იძულებული გახდა ექიმი გამოეძახებინა ტკივილგამაყუჩებელი შრატის მისაღებად. მეორე სეტში ვინუსი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა (4:6). აშკარა იყო, რომ მესამე სეტს ველარ გაუძლებდა და ასეც მოხდა: სერენამ მესამე სეტი 6:2 მოიგო და ჩემპიონის





ტიტული მოიპოვა. ასე რომ, უიმბლდონის ტურნირში გამარჯვების რაოდენობით უილიამსები „გათანაბრდნენ“.

ვაჟთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მარკ ფილიპუსისი და როჯერ ფედერერი.

გადამწყვეტი შეხვედრის დაწყებამდე სპეციალისტები უპირატესობას ფედერერს ანიჭებდნენ. ამ უკანასკნელს კი თავადაც არ სჯეროდა, რომ ფინალში გავიდა.

„მე თუ უიმბლდონს მოვიგებ, ეს იქნება ნამდვილი ფანტასტიკა“, — აცხადებდა ჟურნალისტებთან საუბარში როჯერ ფედერერი. რაც შეეხება მარკ ფილიპუსის, მასაც გამარჯვება სურდა: „გულშემატკივრები ჩემგან ყოველთვის მოელიან თავგანწირულ ბრძოლას და ფინალში ბოლომდე ვიბრძოლებ...“ სამწუხაროდ, ფილიპუსისს ბოლომდე ბრძოლა არ გამოუვიდა. ფედერერმა მეტოქე სამ სეტში დაამარცხა. ფილიპუსისმა წინააღმდეგობა პირველ სეტში გაუწია, რომელიც ფედერერმა 7:6 მოიგო. მეორე სეტში 6:2 გაიმარჯვა, ხოლო მესამეში — 7:6.

ფინალური მატჩის შემდეგ ფედერერი ბედნიერი იყო: „თავი სიზმარში მგონია, დღემდე ვერ გამირკვევია, რა მოხდა, ცოტა ხნით ადრე შეუძლებლად მიმაჩნდა ასეთი რამ... მოკლედ, ჩემი ოცნება ახდა“, — ამბობდა ჩემპიონი.

# ბრაიანტს თავისუფლება 25 ათასი დოლარი დაუჯდა

ნბა-ს ვარსკვლავს კობი ბრაიანტს არასასიამოვნო თავგადასავალი გადახდა. როგორც ირკვევა, რამდენიმე დღის წინ კალიფორნიაში, ერთ-ერთ სასტუმროში, ძალით გაუუპატიურებია უცნობი გოგონა, რის შედეგადაც კალათბურთელი ადგილობრივ პოლიციაში გამოიძახეს. 24 წლის ბრაიანტმა ჟურნალისტებთან საუბარში კომენტარი არ გაუკეთა მომხდარს. მისი გუნდის „ლეიკერსის“ წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში მსგავსი რამ არასოდეს სმენიათ ბრაიანტის შესახებ.

თვით კალათბურთელმა გადასახადი გადაიხადა 25 ათასი დოლარის ოდენობით და გაათავისუფლეს. გარდა ამისა, ბრაიანტმა თანხმობა განაცხადა აქტიურად ჩაერთვას გამოძიებაში. შეგახსენებთ, რომ ბრაიანტი 2001 წლის აპრილში დაქორწინდა 18 წლის სკოლის მოსწავლეზე, — ვანესა ლეინზე. ამა წლის იავარში კი მათ გოგონა შეეძინათ.



# ქართველი უიმბლდონის ტურნირის ფინალში დამარცხდა

**უიმბლდონის იუნიორთა საჩოგბურთო ტურნირის ფინალში გავიდა ანა ჩაკვეტაძე, რომელიც რუსეთის ღირსებას იცავს. ანამ ნახევარფინალში დაამარცხა მეთერთმეტე ნომრად „განთესილი“ ფინელი ემა ლაინი — 6:4, 6:2. ფინალში ჩაკვეტაძე შეხვდა ბელგიელ კირსტენს და დამარცხდა — 4:6, 6:3, 3:6.**

# ჩემპიონის ტრაგედია

წარუმატებლად დასრულდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ფრანგი მძლეოსნის მარი-ჟოზე პერეკის მცდელობა დაბრუნებულიყო დიდ სპორტში. არადა, მას იმედი ჰქონდა, რომ იასპარეზებდა მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც მიმდინარე წლის 23-31 აგვისტოს პარიზი მასპინძლობს. პერეკის დაბრუნება გაურკვეველი დროით გადაიდო ფეხის ტრავმის გამო. შეგახსენებთ, რომ მარი-ჟოზე პერეკმა დიდი სპორტი დატოვა 3 წლის უკან — 2000 წლის ივლისში, როცა 2000 მეტრ დისტანციაზე სირბილში ჩამორჩა თავის უშუალო კონკურენტს — მარია მუტოლეს. დამარცხების მთავარ მიზეზად პერეკმა ფიზიკური მოუმზადებ-




ლობა დაასახელა. მართლაც, 2000 წლის თებერვალში ტრავმის გამო 3 თვე უქმად გაატარა. პერეკი მონდომებით ემზადებოდა სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ იამაიკელ კეტი ფრიმენთან კონფლიქტი მოუვიდა, თავისი ბარგი-ბარხანა მოკრიფა და სიდნეი დატოვა...

მას შემდეგ, 3 წლის განმავლობაში პერეკი არც ერთ შეჯიბრებაზე არ გამოჩენილა.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**8 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის. რეპორტაჟი ლ. მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან (14.00, 15.15), ***მე-9 არხი.*** „მსოფლიო რაგბი“ (14.50), *НТВ плюс футбол* „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. ესპანეთის ჩემპიონატი. „ბარსელონა“ — „ესპანიოლი“ (13.15). ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი“ — „ლიდსი“ (17.15), იტალიის ჩემპიონატი. „მილანი“ — „რომა“ (19.20), გერმანიის ჩემპიონატი. „ბორუსია“ — „ჰერტა“ (22.50), ესპანეთის ჩემპიონატი. „ბეტისი“ — „ბარსელონა“ (0.35). ***НТВ плюс спорт*** სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი (14.15), ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში (15.15), ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები (17.15), კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.30). *EUROSPORT.* ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (12.30, 16.45, 1.00). მძლეოსნობა. გრან-პრი (14.45), კრივი. მძიმეწონოსანთა შეჯიბრება ა. ლევინი — ფ. ფელიცი (23.00).

**9 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „სპორტის სამყარო“ (21.30). *НТВ плюс футбол* ბრაზილიის ჩემპიონატი. „ინტერნასიონალი“ — „ვასკო და გამა“, პირდაპირი ტრანსლაცია (5.35, 13.15, 23.20). „ჩემპიონთა ლიგის არქივი“. 99/00 სეზონი. „ბაიერი“ — უკრაინის „დინამო“ (14.55), „რეალი“ — „პორტუ“ (19.20), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. ესპანეთის ჩემპიონატი. „ბეტისი“ — „ბარსელონა“ (16.35). ესპანეთის ჩემპიონატის შედეგები (21.05). ***НТВ плюс спорт*** კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში (11.45, 21.00), მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში (15.20). ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები (17.15, ქალთა ფინალი 22.25). *EUROSPORT.* ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მესამე ეტაპი (12.00, 16.45, 1.00), საპლაჟო ფრენბურთი. ვაჟები (15.30). ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (21.00).

**10 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის. რეპორტაჟი ლ. მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან (14.00, 15.15). ***ევრიკა.*** „სპორტის სამყარო“ (19.30). ***იმედი.*** სპორტული პროგრამა „ესტაფეტა“ (20.30). *НТВ плюс футбол* „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. გერმანიის ჩემპიონატი. „შალკე“ — „ბორუსია“ (13.15), ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი“ — „ლიდსი“ (19.25), იტალიის ჩემპიონატი. „კომო“ — „მილანი“ (23.25). ესპანეთის ჩემპიონატის შედეგები (15.30), „ჩემპიონთა ლიგის არქივი“. 99/00 სეზონი. „რეალი“ — „პორტუ“ (17.00), „მანჩესტერ უნაიტედი“ — „ოლიმპიკი“ (21.40). „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.10, 1.10). ***НТВ плюс спорт*** კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში (11.45), ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები (17.15), ვაჟთა ფინალი (22.25), *EUROSPORT.* ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მეოთხე ეტაპი. (12.15, მეხუთე ეტაპი — 1.00). ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები: „საუთჰემპტონი“ — „სელტიკი“, „ტოტენჰემი“ — „ასტონ ვილა“ (13.30, 22.00). საპლაჟო ფრენბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი (15.30), ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა (21.00).



**კროსვორდი № 51**

**თარაზულად:** 3. ლეგენდარული შვედი ვაჟი ჩოგბურთელი წარსულში, 8. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 9. XXII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 10. ქალაქი, რომელსაც ეკუთვნოდა „ატლეტიკოს“ საფეხბურთო კლუბი, 13. ბობსლეისა და ციგაობაში სამი ოლიმპიადის მონაწილე ავსტრიელი სპორტსმენი, 15. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 17. ფეხბურთში მეკარე ანუ... 18. იაზონის გემი, 19. წარსულში ცნობილი გერმანელი მოცურავე, 21. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 23. ჭადრაკში კოეფიციენტების ფუძემდებელი, 24. რაც ხშირად ბურთს იგერიებს, 25. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 26. წარსულში ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 2. წარსულში ცნობილი ირლანდიელი ფეხბურთელი, 4. ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი-მეკარე, 5. მოჭიდავეებით განთქმული რაიონი ქართლში, 6. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 7. „ბოავიშტას“ ფეხბურთელი, 8. წარსულში ცნობილი უკრაინელი ჰოკით მხტომელი, 10. წარსულში ცნობილი რუსი მოთხილამურე ქალი, 11. ტერმინი კარატეში, 12. ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი, 14. წარსულში ცნობილი თბილისის დინამოელი კალათბურთელი, 16. „გალათასარაის“ ფეხბურთელი, 17. საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, 20. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი — მეკარე, 22. წარსულში ცნობილი ჩეხი მოცურავე, 25. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი.

შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ

**კროსვორდი №50-ის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ნიჩაბი, 7. ტატაი, 8. „კატა“, 10. რაი, 11. დირექტი, 13. ამაგი, 17. „ანკონა“, 18. ამარილდო, 20. როი, 22. „დუკლა“, 24. ფრომი, 26. „ულმი“, 28. „ავეში“, 31. აფრა, 32. „ასანა“, 33. ბურე.

**შვეულად:** 1. ტრავმა, 2. შტანგა, 3. შანიძე, 5. ანრი, 6. ილიე, 9. „ჯენოა“, 12. ტრიკო, 14. ჰენტო, 15. „მარდი“, 16. ბარკლი, 19. ტოტი, 21. ირინა, 23. „ავაზა“, 25. „იუტა“, 27. მური, 29. შოუ, 30. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. ქარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. კc2! მუქარა 2. კ:d3X
1. ..... dc 2. ეd4X, 1. ... ed 2. მ:d2X
1. .... e2 2. ე:e2X, 1. ... ეd6 2. ეe5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩილაძე